წელიწადი I-ლი

ჰარასკევი 22 ოქტომბერი

ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურა . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.

4 „ „ „ . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმე.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმავს კაბინეტში 1 საათ. სად. 5 ს.

№ 35 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო. № 35

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

ოშაბათიდან 18 ოქტომბრიდან 1920 წ. იქნება ნაჩვენები განსაკუთრებული პროგრამა

საუცხოვო სურათი

ცეცხლის თაყვანისმცემლები

თქმულება სპარსეთის მგოსან ჰაფიზზე (შემ-ედინი).

6 ნაწილათ.

ხუდიაკოვის მუსიკა.

ამ სურათისათვის თბილისიდან სპეციალურად მოწვეულია ცნობილი მოსკოველი იმპროვიზატორი ი. ნ. ხუდიაკოვი.

თეატრი კინო-პალასი

განსაკუთრებული ყურადღება.

ორშაბათიდან 25 ოქტომბრიდან სენსაცია!

„ცეკავშირის“ მიერ ბ-ნ გოგიტიძის ხელმძღვანელობით გადაღებული სურათი ბათომი, თბილისი და მთელი

საქართველო ეკრანზეა

ევროპის სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლა და პროვინციაში მოგზაურობა

თქვენ ნახავთ საქართველოს ყველა მხატვრულ კუთხეებს. თქვენ ნახავთ საქართველოს დემოკრატიის უდიდეს ზეიმს.

ბათომის მუშათა მაღაზია

ამით სურსათ-სანოვაგის მისაღებ სიის წარმომადგენლებს, მოაგონებს სიის პირველ გვერდზე აღნიშნულ წესების მე-13 მუხლს და აფრთხილებს ყველას, რომ ყალბი ცნობების მოწოდებისათვის დაწესებულებების უფროსები პასუხის გებაში იქნებიან მიცემული და სურსათის მიმღებს შეუწყდება სურსათის მიცემა.

ამიერიდან შეცოდება-შებრალებას ადგილი არ ექნება.

მუშათა მაღაზია.

3—1

ბათომის სახ. მოხამ. კოოპერატივ

„ს ხ ი ვ შ ი“

(შერემეტ. ქ № 18)

იყიდება თუთუნი

80 ფუთი, პაჭკებში.

ნიმუშების ნახვა შეიძლება მაღაზიაში და მაღაზიის კანტორაში.

ღია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი

„ტ რ ი უ მ ფ ი“

ნ. ბროვალ-სხირტლაძის

სურათები იჩვენება ყველანაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

ორშაბათიდან, 1920 წლის 22 ოქტომბრიდან საუცხოვო მხატვრული სურათი.

ცეცხლი

პიერო ფოსკოს ნოველლა 4 ნაწილათ.

ცნობილ მსახიობ ქალის პინა მინიშელის მონაწილეობით.

დასასრულ სამხიარულო სურათი

ამ დღეებში ა ნ ნ ა კ ა რ ე ნ ი ნ ა.

ოლღას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ

გაიხსნა

ლ ო ტ ო.

საქველმოქმედო მიზნით.

ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

განცხადება.

შავი ჭირის საწინააღმდეგო საბჭოსაგან.

ქალაქიდან და ოლქიდან გასვლისთვის საჭირო შავი ჭირის საწინააღმდეგო აცრის

მოწმობების მიღება

შეუძლია მხოლოდ იმ პირთ, რომლებმაც აიცრეს შავი ჭირის საწინააღმდეგო ამცრელ რაზმში (ყოფილი საოლქო სააღმყოფოს შეოთხე პალატა, ბულვარისა და შერემეტევის ქუჩის კუთხე).

შავი ჭირის საწინააღმდეგო საბჭო, თავმჯდომარე ექიმი ქლიავა.

37. (3—2)

## ბათუმი 22 ოქტომბერი.

ქემალის სომხეთზე თავდასხმაში უდიდესი რეალური მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის იმპერიალისტების პოლიტიკას, თუ რა გზას დაადგებოდენ რუსი ბოლშევიკები სომხეთ-ქემალის ომში. რუსეთმაც არ დააყოვნა: ერევანში მოსკოვის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სომხეთს ულტიმატუმით მოსთხოვა ბოლშევიკურ ჯარის და საომარ სურსათის სომხეთის მიწა-წყლით გატარება ქემალ ფაშასთან შესაერთებლად.

ეს კიდევ არაფერია, სომხეთს ხელს აღებინებენ სევრის ზავზე, რითაც ხდება ოსმალეთის სომხეთის დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია და სომხეთი გამოდის ევროპის სფეროდან.

ბოლშევიკები განაგრძობენ თავის პოლიტიკას აზიის ხალხის გახრწნისას, ევროპაში გზა მოეჭრათ და აღმოსავლეთში ბედის კამათლებს ეთამაშებიან.

ახლა ჭეშმარიტად რომ სიზედისწეროა ყოფა არარატის რესპუბლიკისა.

ქემალთან ომი არც ისე ძნელი იყო, ან რა ძალა ჰქვს მეამბოხე ქემალს და მით უმეტეს ზამთარში, როცა ქემალი ვერავითარ ძალას ვერ მოიყვანს კავკასიის მთიან ასპარეზზე.

მაგრამ მომენტი შეიცვალა, ისე როგორც მოსალოდნელი იყო. ბოლშევიკებმა რუქა გაშალეს და ეს უკანასკნელი სიტყვაც სთქვეს.

ამიერ-კავკასიის გულზე ლაპლაპებენ ზვირთები მოსკოვ—არზრუმის წითელ და შავ რეაქცია იმპერიალიზმისა.

არა მარტო სომხეთს ან ამიერ კავკასიას, ამ შეულლებით, ამ ჯალოსნურ კავშირით, მთელ კაცობრიობას უმზადდება განსაცდელი.

ველური კომუნიზმი მოსკოვისა და ფანატიკური პანისლამიზმი აჯანყებულ სულთანის მოწინააღმდეგე ქემალისა შენაწევრდა. ამიერ კავკასიის ეს ზამთარიც საომარ ზმანებაშია.

მდგომარეობა სერიოზულია, პოლონეთში წაგებული ბოლშევიკი აქ აპირებს მოგებას.

საქართველოს დემოკრატია და რესპუბლიკის მთავრობა მოვლენათა ასეთ გადაშლას სალი თვალით გარდახედავს და ერს აშორებს საფრთხეს ხვალისას, რომელიც შეიძლება მას მოელოდეს.

დღეს ყველა ერთის აზრით უნდა გავიმსჭვალნოთ, ერთი გვქონდეს ნების ყოფა, შეთანხმებით და შეერთებით ვიზრუნოთ, ვილონოთ და ვიბრძოლოთ სამშობლოს ქვეყნის თავისუფლების ხელ-უხლებლობისთვის.

# სანამ გვიან არ არის!

ჩვენი საშინაო მდგომარეობა, განსაკუთრებით ეკონომიური ვითარება, დამაფიქრებელი გახდა. რაც დრო გადის მდგომარეობა უარესდება, ფულის კურსი დაბლა ეშვება, შრომის ნაყოფიერებაეცემა და სასურსათო კრიზისი მწვავე ხასიათს ღებულობს. მივედით იქ, სადაც უნდა შევჩერდეთ და უკან სავალი გზა გამოვძებნოთ. კიდევ ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა და უფსკრული გადვიჩეხებით და საქართველოს დამოუკიდებლობას ცივი სამარე გაეთხრება და თვით ერის არსებობაც საბედისწერო სასწორზე დაისმება. ამას გრძნობს ყველა შეგნებული მოქალაქე. მდგომარეობის სერიოზობა საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას იპყრობს; ალაპარაკდა პრესა, მმართველი წრეების და ხალხის ნდობით მოსილი პარტიის აზრი და სინდისი ეკონომიური ამოცანის გარშემო ტრიალებს.

მართლაც, საერთო სურათი ეკონომიურ ყოფისა და მის საფუძველზე აღმართული სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო შენობისა საგრძნობლათ საშიშია და თითქმის უნუგეშოა. ეს სურათი ყველასთვის თვალსაჩინოა; ყველა ხედავს, რომ ყველაფერზე ფასები ზღაპრულათ იზდება, თუ პური გუშინ ას მანეთს ფასობდა, დღეს მისი ფასი ორას მანეთამდის აღწევს, თუ გუშინ სიმინდს ათას მანეთად იყიდდი, დღეს ორი ათასათ სიმინდის შოვნა გაძნელდება, თუ გუშინ ჩითი და ნარმა სამასი მანეთი ფასობდა, დღეს ხუთასს მანეთად ვერ იყიდი. არ იშოვება სურსათ-სანოვაგე, შემცირდა ბაზარზე საფაბრიკო ნაწარმოების ნივთთა ტრიალი, დაიმშა საზოგადოება, სწუხს შიმშილობით ბავშვი, ილანძება დედა, მუშა საზრდოს მოკლებული, ილაჯ გამოლეული უნებურათ ზარმაცობს; ზნეობრივი სიდ-ხჭირე, მორალური დაცემა, გრძნობა უპასუხისმგებლობისა, პარაზიტული ელემენტის გაძლიერება და კბილთა ხრჭენა, სპეკულიანთა თამაში—ეს ის შტრიხები, რომელთა შეზავება ჰქმნიან შავს, გულის შემზარავ სურათს ჩვენი ყოფის დაცემისა და დაკნინებისას.

საშინ ლია ჩვენი მდგომარეობა ყველა ამაზე ლაპარაკობს, ვილუპებით— ასეთია საერთო ძახილი. და დღეს ამოძრავა საზოგადოებრივი აზრი, ატოკდა საზოგადოებრივი სინდისი და დღეს უნდა იქნას გამონახული გმირული ზომები დუხჭირ პირობათა დასაძლევათ, მდგომარეობის ოდნავ გამოსასწორებლათ. საქართველოს სხეულის დაავადმყოფება ყველასათვის აშკარაა, კრიზისი დაიწყო. საქართველოს ეკონომიური კრახი მის პოლიტიკურ სიკვდილს გამოიწვევს და აქ მშველელათ და საქართველოს გადასარჩენათ უნდა ამოძრავდეს და დაეწყოს ის კლასი, რომლის ორგანიზაციულმა სიმტკიცემ და პოლიტიკურმა გამჭრიახობამ საქართველოს ცხოვრება საკუთარ პოლიტიკურ ჩარჩოში ჩასვა, ბევრი ხიფათი აარიდა და მისი პატარა ნავი იმედიანი და მტკიცე ხელით აქამდის ცხოვრების სისხლიან ტალღებში უვნებლათ ატარა.

ყველა ამტკიცებს და მტერიც ვერ უარყოფს, რომ საქართველოს დემოკრატია! მისი ავანგარდის-შეგნებული პროლეტარული ნაწილის მეთაურობით, ქაოსში გაჰყვა საქართველოს მთლიანობა, შინ აგუგუნებული ცეცხლი ჩააქრო და ცეცხლის რგოლში საქართველოს სახელმწიფოს კედლები მტკიცედ შეკრა სახელმწიფო შევქმენით, მისი აპარატი და ორგანოები მოვაწყვეთ, ყველა მის ნაწილებს თავ-თავისი ალაგი მიუჩინეთ, მაგრამ მაგარი და ურყეველი საფუძვლის ამოქედა დავაგვიანეთ.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი შენობა მაშინ არის მაგარი, მისი კედლები ურყევი, როდესაც საფუძველი —ეკონომიური ვითარება სანუგეშოა, როდესაც შრომა ნაყოფს იძლევა, ეროვნული სიმდიდრე იზრდება, როდესაც ვქმნით ნივთიერ ღირებულებას. დღეს კი ჩვენ თითქმის არაფერს ვქმნით, ვჭამთ რაც მოგვეძებნება, ვცხოვრობთ თიმასუქებით, როგორც ჩვენი ქვეყნის მეცხრამეტე საუკუნეს თავადები. ეს შეუძლებელია, თვალხილულათ ცივ სამარეში ვერ ჩავეშვებით; შეგნებული დემოკრატია ეკონომიურ სარბიელზე ერის მებაირაღტრედ გამოვა და აქაც შეეცდება მდგომარეობა გამოასწოროს, ერის ეკონომიური აღორძინების სათავეში ჩადგეს. შრომა და შრომა ეს არის ჩვენი დღის მოთხოვნილება და სანამ გვიან არ არის საქმეს ხელი მოვკიდოთ.

**კ. ქავთარაძე.**

# სომხეთი და საბჭოთა რუსეთი.

საბჭოთა რუსეთის სრულ-უფლებიანმა წარმომადგენელმა სომხეთში ულტიმატუმი წარუდგინა სომხეთის მთავრობას, რომლის შინაარს მკითხველი ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გაეცნობა. ამ ულტიმატუმის მიღება სომხეთისათვის მისი დამოუკიდებლობის მოსპობა იქნებოდა საქმით. ასეთი ნოტის მიმართვა კი სომხეთის ნეიტრალიტეტის დარღვევაა, მისი დამოუკიდებლობის, რომელსაც საბჭოთა რუსეთი ვითომდა აღიარებს შეურაცყოფა და შებღალვაა.

რუსეთის კომუნიზმი, რომელმაც დასავლეთით ვერ იპოვა გასავალი, მიუხედავათ მრავალი ცდისა და ახლაც პოლონეთის საზღვარზე ახალი ავანტიურის დროს მოიგი მწარე გაკვეთილი მიიღო, აღმოსავლეთით აძლიერებს თავის იერიშებს, რაც მოსალოდნელი იყო რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე [illegible] მდგომარეობის შეცვლის შემდეგ [illegible]

ამ 3—4 თვის განმავლობაში ევროპის მუშათა კლასის აზროვნებაში ბოლშევიზმმა საკმაოთ დაკარგა თავისი მომხიბლველობა. ჯერ კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესზე ჩამოსულმა დელეგატებმა და შემდეგ ინგლისის მუშათა დელეგაციამ, საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის ადგილობრივად გაცნობის შემდეგ, ამცნეს ევროპის მუშათა კლასს თუ როგორი სამოთხე დაამყარეს კომუნისტებმა რუსეთში.

იმათ, ვინც წინათ ჩრდილოეთით ხედავდა კაცობრიობის ხსნას, აღიარეს, რომ ბოლშევიკური მეთოდები დამღუპველია მუშათა კლასისათვის და კომუნისტური ექსპერიმენტების ცხოვრებაში გატარება უფრო აშორებს ვიდრე აახლოვებს მას სოციალიზმთან.

ორი უდიდესი მუშათა რაზმი, რომლის მოსკოვის ინტერნაციონალში შესვლა, დიდი შეძენა იქნებოდა კომუნიზმისათვის—გერმანელი დამოუკიდებლები და ინგლისის მუშათა რაზმი—ამ ჟამად უარყოფითად აფასებენ რუს კომუნისტების სოციალისტურ ექსპერიმენტებს და უარს ამბობენ მოსკოვის ყურ-მოჭრილ მონებად გახდომაზე.

დასავლეთზე დამყარებულ იმედების გ ა ც რ უ ე ბ ი ს შემდეგ, რუსეთის ბოლშევიზმი აღმოსავლეთით ცდილობს გაანაღდოს თავის ზრახვები. მოსკოვის სოვნარკომმა, მიუხედავათ მრავლი ცდისა ვერ შესძლო აეფეთქებია ევროპის კაპიტალიზმი შიგნიდან და ეხლა გარედან ლამობს მის დამხობას.

კომუნისტური წითელი ტალღა აღმოსავლეთს ედება, ამ ხანად ბოლშევიზმი ცდილობს შეურთდეს ერთად ერთ რეალურ ძალას, რომელიც მტრულად არის განწყობილი ევროპისადმი. ქემალ-ფაშას სამფლობელოში გზა სომხეთით მიდის და რუსი კომუნისტები წარპ-შეუხრელად აპირებენ სომხეთის ტერიტორიით სომხეთის ერის დაუძინებელ მტერთან გამგზავრებას.

ამ მიზნით საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი

# წარსულის ნიშნები.

რუს-ოსმალების კავშირი ჩვენ არა ბუნებრივ და უდღეურ მოვლენად მიგვაჩნია. მრავალია ამისი მიზეზი; დიდი ხნიდან მართლმორწმუნენი თითქოს მართლმადიდებელთა სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენენ; დიდ სჯულმდებელთ მაჰმადსა და იესოს იქნება ეს არც კი სურდათ: შემოქმედს და ერთადერთს ქნება ორივე ერთის თვალით უყურებდნენ, მაგრამ ჟამთა ბრუნვაში წმინდა მცნებებს ბევრი რამ მოაკლეს, ბევრი რამ მიუმატეს და თითქმის ერთი-მეორეს დაუპირდაპირეს მისმა აღმსარულებლებმა. ასეთი არის, ასე ვსთქვათ, რელიგიური სარჩული რუს-ოსმალოს შორის არსებულ წინააღმდეგობისა; მაგრამ უფრო საინტერესო, უფრო მძლავრი და საანგარიშო არის ამ ერების ეკონომიურ მისწრაფებათა სხვა და სხვაობა, ისტორიულ-გეოგრაფიულ — ეთნოგრაფიული შეჯახებანი. გამოჩნდა თუ არა დროთა უამრავ ალიცხვაში სელჯუკთა ტომი, შემუსრა ბიზანტიელთა იმპერია და ამ ნანგრევებზე თავისი ბატონობა განამტკიცა ოსმალომ, იმ დღიდანვე დაიბადა შიში ამ აზიიდან ახლად დაძრული ორდების შემოჭრისა ევროპაში. არც დიდი ხნის ლოდინი დასჭირდა ამ საქმეს. ოსმალო მთელი თავისი სისასტიკით და სიმძლავრით ეხეთქებოდა ბალკანეთის ნახევარ კუნძულს, დაიპყრო აქ მცირე ერები, რომელთაგან უმეტესობა სლავიანთა მოდგმას აკუთვნებდენ თავიანთ თავს და ამ გზით მიუახლოვდა სლავიანთა უდიდეს ტომს, რუსეთს. მრავალ წელთა განმავლობაში ოსმალო სამხრეთ რუსეთისკენ იწევდა, შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებზე მთვარის კიდური აღმართული იყო იქ არსებულ მაჰმადიანურ სახანოებში და ეს მუდმივ შიშს თუ არა, სიფრთხილის თადარიგს მაინც იწვევდა რუსეთის სამეფოში.

გაიზარდა, გაძლიერდა რუსეთი და ყირიმი უდავოდ არაპოთ, იოლათ შეიერთა; ეს გზა სტამბოლისკენ მიდის; აქეთ კი, არა თუ ახალი რუსეთის იმპერია, თვით წინაპარნი, მდინარეთა ნაპირებზე და რუსეთის დიდ ველებზე მოსიარულე ტომებიც, ხელს იშვერდენ ათასი წლის წინეთ, პეტრე დიდისა და ეკატერინეს დროს ხომ ხშირი იყო ცდა რაც შეიძლებოდა მეტი წაეგლიჯათ ოსმალეთისთვის, მეტი ულუფა ეშოვათ სუსტი მეზობლის სამფლობელოდან. ამიერ კავკასიაში ფეხის მოკიდების შემდეგ, რუსეთი დაახლოვებით მეოთხედ საუკუნეს ისვენებს, ხან ნაკლებსაც და ოსმალეთს ასეთი ხან-გამოშვებით ემტება. ოცი-ოცდა ხუთი წელიწადი სულისმოთქმა უკვე მოითხოვს საზღვრების გაწევას, რუსეთის ბურჟუაზია თუმცა არც ძლიერი იყო, საქონლის დამზადება თუმცა არც ისე დიდი ყოფილა იმ დროებში, მაგრამ რაც იყო, ის მაინც ითხოვდა ახალ მხარეებს, ახალ ბაზარს და სამუშაო სარბიელს. ისიც არ არის დასამალი, რომ „ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროთ გარბოდაო,‘‘ როგორც იტყვიან. მაგრამ ეს სანადირო ადგილები მდიდარი და წარმტაცი იყო; სუსტი ტომები რუსეთმა შედარებით იოლად დაიმორჩილა და ოსმალეთს კარებზე უკაკუნებდა. ცოტ-ცოტა რამე ოსმალეთისათვის რუსეთს ბევრჯერ წაუგლეჯია, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, რუსეთს ბევრჯერ დაუკავებია ოსმალეთის სახელმწიფოს კარგა დიდი პროვინციებიც, მაგრამ ნადავლის საბოლოოდ წაღებას არ ანებებდენ მას ,,ავათმყოფი კაცის‘‘ ქომაგნი, ინგლის-საფრანგეთი თუ ავსტრია-გერმანია. ასეთი არის ,,ალიეის‘‘ და ,,ივანე რუსის‘‘ ძველი ჰიდილის მოკლე ამბავი, ამათი დამობილება უსათუოდ ეშმაკის საქმედ უნდა ჩაითვალოს და აკი ამისი ნიშნები გამოჩნდა უკვე მგონია. თუ არევ დარეულ პოლიტიკურ ცნობებს დავუჯერებთ, ბაქოში წითელ-არმიელთ საგრძნობლად შეშინებიათ და დღიან-ღამიანა ბჭობენ: რა იქნება მაშინ, როცა ბაქოში მუსტაფა-ქემალი შემოვათ? ვაი, თუ ადგილობრივმა მუსლიმანობამ ამ მოსულ ხალხს ისე შეხედოს, როგორც მფარველებს და განმათავისუფლებელთ და ჩვენ ლილახანა გაგვიცდეს, ,,წითელმა აზერბეიჯანმა კეხი შეგვიბრუნოს და აქედან მოკოცხვა დაგვჭირდესო.

საფიქრალიც აქვთ!

მთიულნი, რომელნიც თითქმის ხელს უწყობდენ ბოლშევიკების მოსვლას, ნური-ფაშას გავლენის წყალობით, დღეს კარგათ ხედვენ, რომ ნური-ფაშა მთიდან განდევნილი შეიქნა, მთიულები ყოველ დღე აჯანყებას ახდენენ, არ ისვენებენ და იმედოვნებენ ძალად მაცხონებელთა განდევნას. აბა სპარსეთში ხომ დიდი ხლაფორთი შეიქნა. ქუჩუქ-ხანი ბოლშევიკი ეგონათ რუსებს; სპარსელები თავს იყრიდენ და ყვიროდენ: გაუმარჯოს წითელ ქუჩუქ-ხანს, გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობასო! და ეს ყვირილი დამთავრებული არ იყო, რომ ქუჩუქ-ხანი და წითელ-არმიელნი ერთმანეთს მიესივნენ და ერთმანეთს მ ო ს ი ს ხ ლ ე მტრებათ გადაეკიდენ. აბა ამიერ-კასპიის მხარეში, აბა ბუხარაში, აბა ბაშკირეთში, სადაც კი ისლამის აღმსარებელნი სცხოვრებენ, ყველგან ვითომ „წითლდება“ ხალხი, ყველგან ვითომ მყარდება მხსნელი საბჭოთა მთავრობა, მაგრამ გადის ცოტა დრო და წაიჩხუბებიან სამკვდრო სასიცო-

ულტიმატუმით მიმართავს სომხეთის მთავრობას.

სომხეთის მთავრობას არ შეუძლია ეს ულტიმატუმი მიიღოს—ქემალ-ფაშას ლაშქარი გაძლიერდა რუსეთიდან გაგზავნილ სამხედრო მასალით, რომ შემდეგ ქემალის ლაშქარმა სომხეთის ერი გასრისოს და გაანადგუროს.

სომხეთის მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სომხეთის ერი გამოიჩენს ასეთ საბედისწერო მომენტში საჭირო ერთსულოვნებას და ენერგიას, რომ გადაარჩინოს ნორჩი რესპუბლიკა კარზე მომდგარ განსაცდელს.

X

# ვრანგელის თავდასხმა.

გიემა გიჟური მოიმოქმედა... უკბილო ვრანგელმა რუსულ ჟანდარმერიის შავმა გენერალმა ტლანქი ხელი რესპუბლიკის საზღვრებთან მოიქნია. რესპუბლიკის ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ოქტომბრის 17-ს შავი ზღვის ნაპირებზე ვრანგელის შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. რამ აიძულა დენიკინის უშნო აჩრდილი?

მაგრამ უკბილო ძველი მგლურს განაგრძობს.

მეფის გენერალი დრო გამოშვებით ეცემა თავზე ჩვენს ქვეყანას, მაგრამ საქართველოს დემოკრატია არავის მისცემს უფლებას რესპუბლიკას შეეხოს. ვრანგელი ჩვენგან ისეთ პასუხს მიიღებს, როგორიც 1919 წ. მიიღო.

საქართველოს მთავრობამ მთელ ევროპას უნდა ამცნოს პროტესტით ვრანგელის მუხანათური თავდასხმა.

ევროპის სიმპატიებს არ არის მოკლებული გენერალი ვრანგელი და ევროპას თუ ის თავის მიზნებისთვის ჰყავს ყირიმში, ევროპის ინტერესს არ უნდა შეადგენდეს, რომ ავანტიურისტი ვრანგელი საქართველოს ხელმწიფოს ეცემოდეს თავზე.

ჩვენ ასეთ უტიფარ გამობრძოლებას ვთვლით რა უდიდეს უტაქტობათ გენერალ პოლიტიკოსის მხრით ვეფხნებით რეაქციის მოციქულებს, რომ თავის კანში დაეტიონ. ბრძოლა საქართველოსთან მეტად ძნელია, ახსოვდეთ, რომ საქართველოს მთავრობა დაუსჯელს არ დასტოვებს ყირიმის შავ მონარქისტების ასეთ ცელქობას.

მთავრობამ სასჯელ უნდა მისცეს ყველა ის პირები, რომლებიც ყირიმიდან გამოქცეულნი ჩვენს რესპუბლიკას აფარებენ თავს.

მტრები ახმაურდენ, მაგრამ ერის მესაჭენი ყირიმელ მესაფლავებს თვითონ უჩვენებენ საფლავს.

ვრანგელის საფრთხე ჩვენთვის ვერ იარსებებს, მაგრამ მაინც საინტერესო თავხედობა კოვზ ნაცარში ჩავარდნილ გენერლისა, რომელ გეგმით მოქმედებს და რას ჰფიქრობს. საქართველომ ვრანგელების კორპუსი განიარაღებულ მისცმა და ნუ ინდობებს ყირიმის შემოქმედი გენერალური კლავ ერგუნოს ასეთი ხვედრი...

საქართველო არც ერთ რუსეთის სამოქალაქო ომს განსახიერებლად არ ებრძვის, რაც მათ ავალებს ასევე მოიქცენ ჩვენს მიმართ.

ირაკლი.

# გაგრის რაიონში.

ბათომში გაგრის რაიონში მომხდარ ამბების შესახებ შემდეგს იუწყებიან.

დილით 17 ოქტომბერს გამოჩნდა რუსული ესკადრა კრეისერი „ალმაზის" მეთაურობით და წყალქვეშა ნავის თანხლებით, ემებს, როგორც გადმოგვცემენ გენ. ფოსტიკოვის რაზმებისათვის სურსათი მოქონდა

საათის 12 სოხუმის მხრიდან გამოჩნდა გემი „თავრიდა" რომლითაც მიწადმოქმედების მინისტრის ამხანაგი ბ-ნი მალანია მოემგზავრებოდა. როგორც კი „ალმაზიდან" შენიშნეს „თავრიდა" წყალქვეშა ნავივაემართა მისკენ და მისცა წინადადება „ალმაზისკენ" წამოსულიყო.

„თავრიდის" კაპიტანმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ იძულებული გახდა დამორჩილებოდა ბრძანებას და „ალმაზისაკენ" გაემართა წყალქვეშა ნავის თანხლებით.

კაპიტანმა აუხსნა „ალმაზზე" მორიგე ოფიცერს, რომ „თავრიდაზე" იმყოფება საქართველოს, მიწად-მოქმედების მინისტრის იმხანაგი. ოფიცერმა ამის შესახებ „ალმაზის" უფროსს აცნობა, რომელმაც განკარგულება გასცა „თავრიდა" დაუყონებლივ გაეთავისუფლებიათ.

მინისტრის ამხანაგის პროტესტზე კრეისერის უფროსმა ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ ყველა სამხედრო გემს უფლება აქვს შეაჩეროს კერძო გემები მით უფრო უფრო რომ შესაძლებელია შავი ზღვის წყლებში ბოლშევიკების მატორებიც დადიოდენ.

ამის შემდეგ „თავრიდა" გაგრაში მივიდა, სადაც მინისტრის ამხანაგს გაგრის გარნიზონის უფროსი პოლკ. მაჭავარიანი შეხვდა.

მომხდარი ამბების წინა დღეებში პოლკ. მაჭავარიანმა ბრძანება მიიღო თბილისიდან არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა გენ. ფოსტიკოვის რაზმის საქართველოს ტერიტორიიდან წასვლა.

ამ ბრძანების ასასრულებლათ პოლკ. მაჭავარიანმა მოახდინა გვარდიელების და იარაღის ტარების შემძლე მუშების მობილიზაცია.

შუადღეზე პოლკ. მაჭავარიანს მოუვიდა კრეისერის უფროსისაგან მოთხოვნა—ხელი არ შეეშალა ფოსტიკოვის რაზმისათვის სურსათის მიწოდებისათვის, რაზედაც პოლკ. მაჭავარიანმა უარით უპასუხა. ამის შემდეგ კრეისერის უფროსმა პოლკ. მაჭავარიანს მოსთხოვა ხელი არ შეეშალა რაზმის გემებით წაყვანისათვის. პოლკ. მაჭავარიანმა ხელმეორედ უარით უპასუხა. და სამხედრო მოქმედებისათვის მოემზადა.

პიცუნდის ნაპირებზე დაბანაკებული გენ. ფოსტიკოვის რაზმი, ევაკუაციის მოლოდინში.

როგორც კი შეღამდა ესკადრა მიუახლოვდა ნაპირს.

ბოლშევიკების არტილერიამ მას სროლა უტეხა

დილით პოლკ. მაჭავარიანის რაზმი პიცუნდისკენ გაემართა გენ. ფოსტიკოვის ჯარების ევაკუაცია უკვე მომხდარიყო მაგრამ სხვა და სხვა ნიშნები მოწმობს, რომ ყაზახებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

ზოგი სამხედრო ქონება ბრძოლის ველზე დაეტოვებიათ.

ჩვენი მხრიდან ზარალი მცირეა.

# ქრონიკა.

ბათომის ქალაქის საბჭოს სხდომაზე 22 ოქტომბერს 1920 წ. განარჩევია შემდეგი საკითხები: 1) იჯარით გაცემა ნურიის გადახურულ ბაზარში ორი სადუქნე ადგილისა 2) საიჯარო ფასების მომატება ნურიის დუქნებზე. 3) საიჯარო ფასების მომატება იჯარით გაცემულ ქალაქის მიწებზე, 4) იჯარით მიცემა რუსეთ-კავკასიის მეწარმეთა საზოგადოებისათვის „ქალაქის" „ერთი" ნაჭერი მიწისა, ზომით 1034 კვ. საჟ. 5) 30% გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ თეატრებისა და გასართობ ადგილების შემოსავალზე. 6) განხილვა და დამტკიცება შეფასების ცნობათა ფურცლებისა. 7) ელექტრონის ძალის ახალი ფასები. 8) სესხის აღება ბანკებში 20 მილიონ მანეთამდე სასურსათო საქმეების მოსაგვარებლად. 9) სასურსათო საქმე და სასურსათო სატაქსო კომისიის არჩევა. 10 ქალაქის სანერგეე-ბის შეკეთება. 11) იჯარითი ფასების დადგენა ქალაქის მიწებზე ბაზრისათვის პუშკინის ქუჩის პირზე. 12) ქალაქის სანიტარული მდგომარეობა და მედიკო-სანიტარულ საბჭოს მოწყობა. 13) წარმომადგენლის არჩევა სახელმწიფო ბანკის გამანაღდებელ-გამსესხებელ და სავალუტო კომიტეტში. 14) ქალაქის უბნების მოსამართლეთა არჩევა. 15) სოგპეტოვისა და იბიშევის თხოვნები ქალაქისათვის ფქვილის გადასახადის შესახებ. 16) ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოში ქალაქის წარმომადგენლის არჩევა. 17) სასურსათო გამგეობაში ყოფილ მოსამსახურეთა თხოვნა ჯამაგირში გამორიცხულ თანხების დაბრუნების შესახებ. 18) ექიმ ა. დ. მაჭავარიანის თხოვნა სანატორიუმის გახსნის შესახებ ჩხიკვაძის სახლში.

20 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს შეერთებულმა, მიწისა და იურიდიული კომისიის სხდომამ, დაადგინა: ბაზარ ნურიაში თითეულ ოთხკუთხედ საჟენ მიწაზე დაწერონ ქირა სამი ათასი მანეთი ხოლო იმერეთის ქუჩიდან კი 2500 მ.

— საზოგადოთ იჯარით გაცემულ მიწების ფასი ყველა ქალაქის ადგილებზე გადიდებულ იქნას ათჯერ.

1920 წ. 1 იანვრიდან ქალაქის სასარგებლოთ შემოღებულ იქმნას 10% გადასახადი, გადახდა უნდა მოხდეს ნახევარი წლის წინდაწინ გადახდით.

რესპუბლიკის ფლოტილიის გამანადგურებელი „ფრიდონი" მცირე შეკეთების შემდეგ ჩაშვებული იქნება ზღვაში.

ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მცხოვრებთათვის შეიძინა 3000 ფუთი ქერი და 2000 ფუთი კართოფილი, რომელსაც ამ დღეებში დაურიგებენ მცხოვრებთ.

ამ დღეებში განახლდება ქალაქის ფურნეებიდან მცხოვრებთათვის პურის დარიგება.

ქალაქის სანიტარული განყოფილების მუდმივ და დროებითი შემადგენლობის საზოგადო კრებაზე პროტესტი გამოიტანეს ქალაქის გამგეობის მიერ ფერშალის ნესტეროვის დათხოვნის გამო, რომელმაც შეურაცყო ქალაქის გამგეობის წევრი პეტროსიანცი. კრებამ დაადგინა ეთხოვოს ქალაქის მოსამსახურეთა კავშირს იშუამდგომლოს ქალაქის გამგეობის და საბჭოს წინაშე, რათა ნესტეროვი სამსახურში იქნას დაბრუნებული.

---

ცხლოდ დამპყრობელნი ცადაპყრობილნი, იწყება ალსასრულის სათავე. უნდა ვიფიქროთ, რომ ბაქოშიც ეს გამეორდება. თურქთა მოყვარე ნარაქმა აზერბეიჯანელი, ვინც უნდა იყოს ის, ხუსეინოვი თუ რასულზადე, «განთლებული» თუ ძველი მუსავატელი, უფრო არჩევს მუსტაფას დაუძმობილდეს, მას მიეკედლოს და კისრიდან ადააგდოს ჩრდილოეთიდან შემოსული ახალი ბატონი. ამას ჩვენ უნდა ველოდეთ, ასეთი ყოფილა უწინდელი ამბავი და ასე უნდა განმეორდეს ეს მომავალში, და თუ ასე მოხდა, მით უკეთესი ამიერკავკასიის მცირე ერთათვის, მით უარესი წითელ კალიისათვის. წაჩხუბების შიში უკვე არსებობს, როგორც გადმოგვცემენ, და თუ ამასაც მოვესწარით, მაშინ ერთხელ კიდევ ვიხილავთ „სოციალისტურ რუსეთის" მორიგ მარცხს. ამიერკავკასიის ერები უნდა ცადონ მანამდე გაუძლონ ომის ცეცხლს, მანამდე არ განადგურდენ ფიზიკურად, შემოსეულ ურდოებს ხელთ არ ჩაუგდონ მრავალ წელთა განმავლობაში წვა-დაგვით მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლება. პანთურქული, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ პანისლამისტური მოძრაობა, რაც სარჩულად ედობა მუსტაფა—ქემალის გამოლაშქრებას, ვერა დროს ვერ შეურიგდება ჩრდილოეთის თეთრი ხალხის სურვილებს: ვინ არ იცის, რომ პანთურქიზმი მუდამ ეპოტინებოდა ყაზახ - ასტრახანელ მუსლიმანობას! „რუსეთში 25—30 მილიონი მუსლიმანობა სცხოვრობს და ჩვენ, თურქებმა იმათ უნდა შევუერთდეთ, დიდი სამუსლიმანო ქვეყანა უნდა შევქნათო". არსებითად ეს სიტყვა გამოაქვთ დღეს დღიურ საქმეთ მცირე აზიიდან დაძრულ ურდოებს და თვით კომუნისტური რუსეთიც თავისი „აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობით", „წითელი მატარებლებით" და სხვ. ამავე საქმეს ემსახურებიან, და სწორედ აქ არის ჩამარხული ერთიმეორის მომსპობი, ერთი—მეორის საწინააღმდეგო მოვლენები. აქედან გამოველით ჩვენ ახლანდელ მეგობართა წაკიდებას მაშინ, როცა ისინი ერთმანეთს პირის პირ შეხვდებიან. მით უკეთესი ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისთვის! ისტორია უნდა განმეორდეს, ამიერ კავკასიის ცაზე ისევ ნათელი დღეებ უნდა აღმობრწყინდეს. მანამდე კი აქ ჩვენი სურვილი ხალხის ერთი თქმულებით უნდა გამოვხატოთ:

„დამბადებელო, წაჰკიდე!
ორივეს თავი წასწყვიტე!".

ვ. ხე—ლი

პატიმრების მუშაობა. იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი ტუსაღთა სწავლა-განათლებისა და სამუშაოს მოწყობის შესახებ.

მთავრობის დადგენილების თანახმად მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან საათის ისარი ერთი საათით არის წინ გადაწეული.

ბათუმის მუშათა-მაგიდა მოაგონებს ყველა იმათ, ვინც ცნობებს აძლევს მაგიდას თავის მოსამსახურეების შესახებ, რომ ყალბი ცნობების წარმომდგენისათვის დამნაშავენი სამართალში იქნებიან მიცემულნი, სურსათის მიმღებნი კი ხვედრი რაციონები არ მიეცემათ.

20 ოქტომბერს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 31 უმუშევარი.

გემ „დონეცით" ბათუმში ბევრი თუთუნი და წვრილი ოთხფეხი ცხოველები ჩამოიტანეს.

სასურსათო განყოფილებას განზრახვა აქვს გაყიდოს ბრინჯი, რომელიც სასურსათო განყოფილებამ მოიპოვა და მის მაგივრათ ხორბალი შეიძინოს.

ქალაქის სასურსათო განყოფილება შეეკითხა სხვა და სხვა დაწესებულებებს მათთვის საჭირო ნავთის რაოდენობის ცნობების მოწოდების შესახებ.

ამ რამოდენიმე დღის განმავლობაში შეუდგებიან მცხოვრებთათვის ნავთის დარიგებას სულზე 5 გირვანქას.

ქალაქის საავადმყოფოში ამ ჟამად 98 ავათმყოფი იმყოფება.

# სომხეთ — ოსმალეთის ომი.

## საბჭოთა მთავრობის ულტიმატუმი სომხეთს.

თბილისში მიღებული ცნობებით, რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა სომხეთის მთავრობასთან ბ. ლეგრანმა, სომხეთის მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიც აღნიშნულია ორი დებულება, რომელის მიღების შემდეგ ლეგრანის განცხადებით შესაძლებელი იქნებოდა მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება სომხეთსა და საბჭოთა მთავრობის შორის, დებულებანი ასეთია:

1) სომხეთმა თავისუფლად უნდა გაუშვას თავის ტერიტორიაზედ ყველა გზებით ბოლშევიკების ჯარები, ქემალ ფაშის ჯარებთან შესაერთებლად.

2) სომხეთმა უნდა უარჰყოს სევრის ხელშეკრულება.

სევრის ხელშეკრულებით, რომელიც 10 მარიამობისთვეს დადო ანტანტასა და ოსმალეთს შორის და ხელმოწერილი იქნა სომხეთის წარმომადგენლის მიერ აღიარებულ იქნა გაერთიანებული სომხეთი და მას მიაკუთვნეს ვანის, ბითლისის, ერზრუმის და ტრაპეზონის ვილაიეტები, რომელნიც ამ ჟამად ოსმალეთის ხელში იმყოფებიან და ფაქტიურად კი, ქემალ-ფაშის ჯარების მოქმედების ფარგალში დგებიან.

თბილისში ჯერ არ გადმოუციათ დაწვრილებითი ტექსტი ნოტისა და სომხეთის პასუხი, მაგრამ როგორც სომხეთის წრეები იუწყებიან, სომხეთის მთავრობამ გადაჭრილი უარით უპასუხა ლეგრანს.

სომხეთის რესპუბლიკის ბათუმის გენერალურ საკონსულოს 21 ოქტომბრის ცნობა:

## ფრონტზე.

20 ოქტომბერი, არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

### ზანგეზურში.

ავტორიტეტულ წყაროებიდან იუწყებიან ზანგეზურში მომხდარ სომეხთა აჯანყებაზე, რომლის მიზეზი განუწყვეტელი რეკვიზიციები და თათართა ბანდების თავაშვებული თარეშია. სომეხი მოსახლეობა სრულიად გაძარცვეს და მათი ქონება დაიტაცეს. გლეხობა 45 წლამდი მობილიზაციით გაიწვიეს. ზანგეზურის გლეხობამ აჯანყების დროში ააოხრა და დაატუსაღა ყველა ადგილობრივი რევკომები და მცირერიცხოვანი წითელი ჯარების გარნიზონი, აჯანყებულებმა ტყვეთ წაიყვანეს 400-მდე წითელი ჯარისკაცი, ხელი იგდეს 16 ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო მასალა.

### სურსათი ჯარისათვის

20 ოქტომბრიდან ვიდრე 5 ნოემბრამდი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ორი კვირის გმნმავლობაში შეკრებილი იქნება სურსათი ჯარისათვის. პირველ დაძახების თანავე გლეხობამ გამოიტანა სურსათი და ფქვილი.

### სამხედრო აღზრდა.

„დაშნაკცუტიუნის" პარტიის ერევნის კომიტეტის ინიციატივით მოხდა თათბირი სასწავლებელთა და ამერიკელთა ობოლთათვის თავშესაფერების წარმომადგენელთა. თათბირმა დაადგინა ყველა ახალგაზრდა, რომელსაც 15 წელი არ შესრულებია ჩარიცხულ იქნას ბოი-სკაუტების ბათალიონში, 15 წელზე უფროსი-ე. წ. მოწაფეთა გვარდიაში, სადაც შეისწავლიან სამხედრო წესებს. მთავრობას ნება აქვს საჭიროებისამებრ გამოიყენოს ეს რაზმები.

# სხვა და სხვა ამბები.

## ე. გეგეჭკორი საფრანგეთის პრეზიდენტთან

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.

თანახმად პარიზიდან მიღებულ დეპეშისა, ოქტომბრის პირველ რიცხვებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი მიუღია ელისეის სასახლეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხოლო შემდეგ საფრანგეთისავე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ლეიგს. ორივე აუდიენციას ჰქონია საქართველოსადმი დიდი სიმპატიისა და კეთილგანწყობილების ხასიათი.

### საფრანგეთი და რუსეთი.

„ჰუმანიტე" იუწყება: საფრანგეთის მთავრობამ ვრანგელს პირობა მისცა, რომლის ძალით თუ ბოლშევიკურმა ჯარმა ვრანგელი მეტად შეავიწროვა საფრანგეთი მას დამხმარე ჯარებს გაუგზავნის.

### ინგლისი და რუსეთი.

„ტაიმსი" იუწყება: ინგლისის მთავრობა რუსეთის საკითხის მიმართ ახალ თვალსაზრისზე დადგა. ინგლისის ოფიციალური წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ საბჭოთა რეჟიმი ანარქიის გამო სულ მოკლე ხანში დაემხობა. ამ შემთხვევაში რუსეთში რეაქციონური მთავრობა დამკვიდრდება. ინგლისის პრესტიჟს რუსეთი დიდ საფრთხეს უმზადებს. ინგლისმა ახლავე უნდა გადადგას სათანადო ნაბიჯები თავის გავლენის განსამტკიცებლად თუ თვით რუსეთში არა, ერთ-ერთ მის ყოფილ ნაწილში მაინც. ამისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი არის უკრაინა, რომელიც დამოუკიდებელ ცხოვრებისაკენ ისწრაფვის.

### არჩევნები ავსტრიაში.

ავსტრიის ეროვნულ კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა ვენაში 4 ხმა დაჰკარგეს, ქრისტიანმა სოციალისტებმა ხუთი ხმა მიიღეს პანგერმანისტებმა ერთი, ამბობენ რომ ეროვნულ კრებაში აუცილებლად აირჩევენ ჩერნინს, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრათ იყო. და საშუალო კლასთა ახალი პარტიის წარმომადგენელია.

### გაფიცვები ბუდაპეშტში.

მოსკოვი, 17 ოქტომბერი, 3 ათასი მკერავი მუშა ბუდაპეშტში გაფიცვას აცხადებს, ეს პირველი ორგანიზაციული მოძრაობაა პროლეტარიატის დიკტატურის დაცემის შემდეგ. მეპატრონეებმა ლოკაუტი გამოაცხადეს. ელიან, რომ მთავრობა მათრახის საშუალებით დააშოშმინებს ურჩთ.

### ნობელის პრემია.

ლონდონი მიმდინარე წელს ნობელის პრემია ნორვეგიელ მწერალ კნუტ ჰამსუნს მიუსაჯეს.

### პეტროგრადში.

პარიზი. «ტანი» იუწყება: პეტროგრადის „წითელი გაზეთის" ოფიციალურ ცნობების მიხედვით ამ ჟამად პეტროგრადში ირიცხება 296.000 მამაკაცი და 410.000 ქალი. 1916 წ. კი მცხოვრებთა რიცხვი სამ მილიონს უდრიდა.

### შეიდემანელების ყრილობა.

მეუმრავლესე სოციალისტების პარტიის მიტინგზე ხელახლად არჩეულმა ყოფილმა პრეზიდენტმა გერმან მიულერმა განაცხადა, რომ პარტიის კომიტეტის დადგენილებით არც ერთს მინისტრს არ შეუძლია კომიტეტის წევრობა.

### საბერძნეთში.

ბერნიდან იუწყებიან, რომ ყოფილი მეფე კონსტანტინე ცდილობს ისარგებლოს მდგომარეობით და საბერძნეთში დაბრუნდეს. შვეიცარიის მთავრობამ ზომები მიიღო, რომ ნება არ დართოს.

### დენიკინის დაბრუნება.

გერმანული გაზეთები იუწყებიან: გენ. დენიკინი ბრუნდება ვრანგელთანო. ვიგანი ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევის გეგმით ვრანგელის ფრონტზე გაემგზავრა.

### მ ა ხ ნ ო.

— კრაკოვიდან იუწყებიან მახნოს ახალი ღალატის შესახებ. მისი ცხენოსანთა რაზმები მცხოვრებთა დახმარების წყალობით ხერსონს უახლოვდებიან. მახნოს პარტიზანებმა ნიკოლაევ—ზნამენკას რკინიგზის ხაზზე სად. დოლინსკაია აიღეს წითელმა ჯარებმა ნიკოლაევი დასტოვა:

# უცხოეთი.

## გერმანია.

### გერმანელ დამოუკიდებელთა პარტია გაიყო.

ბოლშევიკური რადიო იუწყება რომ დამოუკიდებელთა ყრილობაზე ქ. გალეში განხეთქილება მოხდა. ერთი ნაწილი დიტმანის და კრისპიენსის მეთაურობით, რომლებმაც საბჭოთა რუსეთი ინახულეს და ადგილობრივად გაეცნენ საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას, წინააღმდეგია მოსკოვის ინტერნაციონალის. ამ ფრთის თავმჯდომარეებათ არჩეული არიან კრისპიენი და ლედებური, მდივნებათ დიტმანი და კლარა ცეტ.

### „ფრაიჰაიტი" ყრილობის შედეგების შესახებ.

„ფრაიჰაიტი" უკმაყოფილოა ყრილობის შედეგებით და ამბობს, რომ განხეთქილება ასუსტებს გერმანიის მუშათა მოძრაობას.

### ზინოვიევის განდევნა გერმანიიდან.

გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა ზინოვიევს და ლოზოვსკის დასტოვოს გერმანიის საზღვრები, ვინაიდან დრომ, რომელიც მათ მიეცათ იქ ყოფნისათვის განვლო.

### რუსეთის პროფ. კავშირთა დელეგაცია გერმანიაში.

როგორც იყო დიდის ვაივაგლახით რუსეთის პროფ. კავშირთა დელეგაცია გერმანიაში ჩავიდა. ამ დელეგაციას განზრახვა ქონდა ინგლისში ჩასულიყო, მაგრამ ინგლისის მთავრობამ ამისი ნება არ დართო. მურმანსკში, საიდანაც დელეგაცია აპირებდა ევროპაში გამგზავრებას, ისინი უცხოეთის არც ერთმა გემმა არ მიიღო. მურმანსკის საბჭომ გადასწყვიტა გამოეყენებიათ რუსული გემი, რისთვისაც. გემის სამგზავროთ მოსამზადებლათ ჩვეულებისამებრ დანიშნეს სუბბოტნიკი—და ამიტომ გემსაც „სუბბოტნიკი" უწოდეს. გემმა გაიარა სკანდინავიის ჩრდილო ნაპირები და ქ. ბორგენსთან (ნორვეგია) გამოჩნდა, მაგრამ ნორვეგიის მთავრობამ უარი სთქვა გემის ნავთსადგურში შემობაზე. დელეგაციამ სცადა ინგლისის ვიზა მიეღო მაგრამ ამაოთ.

ამის შემდეგ ნორვეგიის მთავრობამ ნება დართო ორ დელეგატს-ლოზოვსკის და ანცელევიჩს გამგზავრებულიყვნენ გერმანიაში რკინის გზით.

სარედაქციო კოლეგია.


# გამყრელიძის ცირკი.



ხუთშაბათი 22 ოქტომბერი

ფალავან ჩემპიონის

## უცნობის ბენეფისი.

დღე უცნობის საბენეფისოდ გაიმართება ინგლისური

ბ ო ქ ს ი

## უცნობი—ზაბორუიკოს წინააღმდეგ.

ჭიდაობს 3 წყვილი.

1) უცნობი—წითელი ნიღბის წინააღმდეგ.
2) მაკაროვი—ბრონენოსცევის წინააღმდეგ.
3) მუშა—გენჟა-ალის წინააღმდეგ.

წარმოდგენა ახალი დროით დაიწყება.


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. პ. შმაევსკისა. მიხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.